ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა სიკეთის მომტანია! მაგრამ როგორი იქნება მომავალი გაძვირებული მომსახურების პირობებში?

#HSBarometer

კურაციო
საერთაშორისო ფონდი

კვლევა დაფინანსებული და მომზადებულია საერთაშორისო ფონდი კურაციოს მიერ / თებერვალი, 2016

კვლევის ანგარიშის სტრუქტურა

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- წინასიტყვაობა
- კვლევის ძირითადი მიგნებები
- კვლევის შედეგები დეტალურად
  - ✓ ბოლო 6 თვეში განხორციელებული რეფორმები
  - ✓ ჯანდაცვის ბიუჯეტი
  - ✓ მთავრობის პოლიტიკა ჯანდაცვის სფეროში, სპეციალისტთა შეფასებები, ოფიციალური და კვლევითი მონაცემები
  - ✓ სახელმწიფო პოლიტიკა: კერძო სადაზღვევო ბაზარი და მისი შესაძლო პერსპექტივები
  - ✓ სამომავლო მოლოდინები
- მოკლე ცნობები კვლევაში მონაწილეთა შესახებ

წინასიტყვაობა

ჯანდაცვის სფეროს ზარომეტრი

კვლევის მიზანი:

ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ ექსპერტებისა და სპეციალისტების მოსაზრებებისა და მოლოდინების შესწავლა

კვლევის ამოცანა:

საზოგადოებისა და ხელისუფლებისთვის კვლევის შედეგების გაცნობა, რათა მათ შეიტყონ დარგში მიმდინარე მოვლენების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ექსპერტთა მოლოდინები და მოსაზრებები სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისას გაითვალისწინონ

- *კვლევის შედეგები ასახავს მხოლოდ აღნიშნულ კვლევაში მონაწილე ექსპერტებისა და სპეციალისტების მოსაზრებებს და მოლოდინებს*
- *რესპონდენტთა მოსაზრებები, სადაც შესაძლებელი იყო, შედარდა ფაქტობრივ სტატისტიკურ მონაცემებს რეალური ტენდენციების წარმოსაჩენად*

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

ძირითადი მიგნებები

კვლევის ძირითადი მიგნებები

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

1

- ბარომეტრის მეექვსე ტალღაში მონაწილე სპეციალისტების აზრით ჯანდაცვის სფეროს მნიშნელოვან წარმატებად C ჰეპატიტისა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამების უწყვეტად განხორციელება დასახელდა.

- **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ადმინისტრირება და ბიუჯეტის ეფექტურად ხარჯვა კი უმთავრეს გამოწვევად აღიარეს.**

კვლევის ძირითადი მიგნებები

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

2

Source: http://financialtribune.com/

- **დარგის სპეციალისტების აზრით გაზრდილია კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობა.**

- იგივეს ადასტურებს **ოფიციალური სტატისტიკა - 2015 წლის III კვარტლის** ბოლოს **დაზღვეულთა რაოდენობა 533,711** ადამიანი, იგივე ნიშნულს **დაუბრუნდა,** რაც 2013 წლის დასაწყისში იყო.

საყოველთაო ჯანდაცვაში არსებული ფინანსური სირთულეების ფონზე კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობის მატება მნიშვნელოვანი პოზიტივია, თუ მთავრობა ამ მოვლენას ეფექტურად გამოიყენებს.

კვლევის ძირითადი მიგნებები

- მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ზრდა, რომელიც პირველად 2013 წლიდან დაიწყო, კვლავ გადაუჭრელ პრობლემად სახელდება.

- საქსტატის ოფიციალური მონაცემები ექსპერტთა მოსაზრებებს ამყარებს
  - 2015 წლის მანძილზე ამბულატორიული მომსახურება გაძვირებულია ⬆ **7.7%**-ით
  - ხოლო სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და მოწყობილობა ⬆ **24.2%**-ით.

კვლევის ძირითადი მიგნებები

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასები განუხრელად იზრდება და ზრდის ტემპი აღემატება საშუალო ინფლაციას.

- ეს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მნიშვნელოვანი რისკია, რადგან:
  - მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტის მსყიდველუნარიანობა და
  - იზრდება მოსახლეობაზე მკურნალობის ფინანსური ტვირთი, რაც სავარაუდოდ შეამცირებს მოსახლეობის კეთილგანწყობას ამ პროგრამის მიმართ

- ამასთან ერთად სპეციალისტებს შორის განუხრელად იზრდება პესიმისტური მოლოდინები, რაც ასევე ყურადსაღებია.

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

კვლევის შედეგები დეტალურად

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

ბოლო 6 თვეში განხორციელებული რეფორმები

რა იყო ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის სფეროს ძირითადი წარმატება-მიღწევა?

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- კვლევაში მონაწილე სპეციალისტების აზრით ჯანდაცვის სფეროს ძირითად მიღწევად C ჰეპატიტის პროგრამისა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის უწყვეტად მიმდინარეობა დასახელდა

N1

N2

რა არის ჯანდაცვის სფეროში ის 3 ძირითადი გამოწვევა-პრობლემა, რომელიც მთავრობამ დროულად უნდა მოაგვაროს?

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

1 უმთავრეს გამოწვევად საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯების კონტროლი და ოპტიმიზაცია დასახელდა

2 მე-2 პრობლემად მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუარესება დასახელდა

3 მე-3 გამოწვევად სამედიცინო მომსახურების ხარისხი და სამედიცინო პერსონალის უწყვეტი განათლების პრობლემა იქნა დასახელებული

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

ჯანდაცვის ბიუჯეტი

სამედიცინო დაწესებულებებისთვის თანხების გადარიცხვის დროულობა?

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- კვლევაში მონაწილე დაწესებულებათა მენეჯერების 52.3% პროგრამული თანხების ოდნავ ან მნიშვნელოვანი დაგვიანებით ჩარიცხვაზე მიუთითებენ.
- ეს რესპონდენტების მიერ უმთავრეს გამოწვევად დასახელებულ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯების მართვის პრობლემას ეხმიანება.



ჯანდაცვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები 2015 წ.

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი



- 2015 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტით დახარჯულია 572.5 მლნ ლარი, რაც **18%**-ით აჭარბებს წლის დასაწყისში დაგეგმილი ბიუჯეტის მოცულობას.
- ჯანდაცვის სხვა პროგრამებზე კი 2015 წლის ბოლოს დაიხარჯა დაგეგმილზე **12%**-ით მეტი.

რეალურად დახარჯული თანხები ალბათ კიდევ უფრო დიდია, რადგან აქ მოყვანილი თანხები არ ასახავს იმ დაგროვილ დავალიანებებს, რომლებზეც რესპონდენტები მიუთითებენ.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო,

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინა
2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში
პროგრამა 35 03; 35 03 01
ყოველდღიური ოპერატიული ანგარიში 30.12.2015

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

მთავრობის პოლიტიკა ჯანდაცვის სფეროში, სპეციალისტთა შეფასებები, ოფიციალური და კვლევითი მონაცემები

N2 გამოწვევად მედიკამენტებზე ხელმისაწვომობის პრობლემა დასახელდა

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- მესამე ტალღიდან მოყოლებული სულ იზრდება იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც მედიკამენტების ფასების გაძვირებას აღნიშნავდნენ
- მეექვსე ტალღის მონაცემებით რესპონდენტთა **94.9%** აღნიშნავს მედიკამენტების გაძვირებას



ბოლო 6 თვის მანძილზე სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ცვლილების შეფასება



- სამედიცინო მომსახურებაზე ფასების გაძვირებაც მესამე ტალღის შემდგომ მნიშვნელოვნად ჭარბობს რეპონდენტთა პასუხებში
- მეექვსე ტალღის მონაცემებით, რეპონდენტთა **76.9%** აღნიშნავს სამედიცინო მომსახურებაზე ფასების გაძვირებას.

როგორ დარდება ფასებთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებები საქ. სტატის ოფიციალურ მონაცემებს?

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი



- 2015 წლის დეკემბერში გასული წლის დეკემბერთანნ შედარებით ჯანდაცვაზე ფასები გაზრდილია 10.5%-ით.
- ამ პერიოდისთვის ფასების ყველაზე მაღალი ზრდა გორსა(+11.4%) და ბათუმში(+11.9%) ფიქსირდება.

წყარო: საქსტატი, ინფლაცია საქართველოში, 2015

როგორ დარდება ფასებთან დაკავშირებით ექსპერტთა მოსაზრებები საქ. სტატის ოფიციალურ მონაცემებს?

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- 2015 წელს ფასების მატება დაფიქსირდა შემდეგ პროდუქციასა და მომსახურებაზე:
  - ➢ ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება გაძვირდა ⬆**7.7%**-ით
  - ➢ სამედიცინო პროდუქცია (წამლები), აპარატურა და მოწყობილობა ⬆ **24.2%**-ით.

◆ ფასების განუხრელი ზრდა მნიშვნელოვანი რისკია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის, რადგან ერთის მხრივ ამცირებს ბიუჯეტის მსყიდველუნარიანობას და მეორეს მხრივ ზრდის მოსახლეობის ფინანსურ ტვირთს და შესაბამისად ამცირებს ხელმისაწვდომობას.

წყარო: საქსტატი, ინფლაცია საქართველოში, 2015

ბოლო 6 თვის მანძილზე ჯანდაცვის დაწესებულებაში პაციენტის ჯიბიდან ფორმალური და/ან არაფორმალური გადასახდელების შეფასება

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

❖ მესამე ტალღიდან მოყოლებული სულ უფრო იზრდება რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც ჯიბიდან გადახდილი თანხების მატებას აღნიშნავენ და მათი რაოდენობა მეექვსე ტალღაში 46.2%-ს აღწევს



ბოლო 6 თვის მანძილზე მოსახლეობის ფინანსური დაცულობის შეფასება

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- მესამე ტალღასთან შედარებით 37%-ით უფრო ნაკლები რესპონდენტი აღნიშნავს მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუმჯობესებას
- მსგავსი შეფასებები რესპონდენტთა მხრიდან, სავარაუდოდ, მედიკამენტებსა და სამედიცინო მომსახურებაზე ფასების ზრდის გამოხატული ტენდენციებით აიხსნება.



კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

სახელმწიფო პოლიტიკა: კერძო სადაზღვევო ბაზარი და მისი შესაძლო პერსპექტივები

ბოლო 6 თვის მანძილზე კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობის შეფასება

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- მეექვსე ტალღაში რესპონდენტთა მეოთხედი აღნიშნავს კერძოდ დაზღვეულთა რაოდენობის ოდნავ ან მნიშვნელოვნად მატებას.



როგორ ეხმიანება სპეციალისტთა მოსაზრებები კორპორატიულად დაზღვეულთა რაოდენობის ცვლილებას



- 2013 წლის I კვარტლიდან 2014 წლის I კვარტლამდე კერძოდ დაზღვეულთა რიცხვი -117,326 ადამიანით შემცირდა.
- 2014 წლიდან კი კვლავ იმატა კერძოდ დაზღვეულთა რიცხვმა და 2015 წლის III კვარტლის მონაცემებით მათი რაოდენობა 533,711-ს შეადგენს.
- 2015 წლის სექტემბერში დაზღვეულთა რაოდენობა თითქმის გაუტოლდა 2013 წლის პირველი კვარტლის ნიშნულს.

წყარო: *საქართველოს სადაზღვევო კომპანიათა ასოციაცია - სტატისტიკური მონაცემები*
http://insurance.org.ge/

კურაციო
საერთაშორისო
ფონდი

ჯანდაცვის სფეროს
ბარომეტრი

სამომავლო მოლოდინები

ფინანსური ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

❖ ჯანდაცვაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით რესპონდენტთა უმრავლესობას (60.8%) პესიმისტური მოლოდინები აქვთ.



მედიკამენტების ფასების გაიაფების მოლოდინი

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

❖ პესიმისტურია მოლოდინი მედიკამენტების გაიაფებასთან დაკავშირებით და პესიმიზმის დონე მატულობს.



სამედიცინო მომსახურების ფასების გაიაფების მოლოდინი

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

❖ სამედიცინო მომსახურებაზე ფასების გაიაფების მოლოდინიც პესიმისტურია და რესპოდენტთა უმრავლესობა (72.2%) ფასების გაძვირებას მოელის.



მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუმჯობესების მოლოდინი

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

❖ სულ უფრო პესიმისტური ხდება რესპოდენტთა განწყობა მოსახლეობის ფინანსური დაცულობის გაუმჯობესების კუთხით. და 64.9% მიიჩნევს რომ მოსახლეობის ფინანსური დაცულობა გაუარესდება შემდეგ 6 თვეში.



ჯანდაცვის დაწესებულებაში პაციენტის ჯიბიდან გადახდილი ფორმალური და/ ან არაფორმალური გადასახდელების რაოდენობის ცვლილების მოლოდინი

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

❖ რესპონდენტთა ნახევარზე მეტი (58%) სამედიცინო მომსახურებაზე პაციენტის ჯიბიდან გადასახდელების ოდნავ ან მნიშვნელოვნად მატებას მოელის შემდეგ 6 თვეში



მოკლე ცნობები კვლევაში მონაწილეთა შესახებ

ჯანდაცვის სფეროს ბარომეტრი

- ბარომეტრის მეექვსე ტალღა წარმოდგენილია მონაწილე ექსპერტთა და სპეციალისტთა ფართო სპექტრით:
  - ✓ სამთავრობო სტრუქტურები
  - ✓ სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები
  - ✓ საერთაშორისო ორგანიზაციები
  - ✓ პროფესიული ასოციაციები და სადაზღვევო ორგანიზაციები
  - ✓ კვლევითი საექსპერტო ჯგუფები

- საკმარისი ექსპერტული და ასაკობრივი ცენზით და გენდერული განაწილებით:
  - ✧ მონაწილეთა 80%-ზე მეტს აქვს ჯანდაცვის სფეროში მუშაობის 10 წლიანი და მეტი გამოცდილება
  - ✧ მონაწილეთა 73%-ის ასაკი 40 წელზე მეტია
  - ✧ რესპონდენტთა 58% ქალბატონია

- კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ **101**-მა ექსპერტმა და სპეციალისტმა

დასასრული

საავტორო უფლებები დაცულია. შედეგების ციტირება ნებადართულია წინასწარი თანხმობის გარეშე, მაგრამ აუცილებლად წყაროს მითითებით.

CURATIO INTERNATIONAL FOUNDATION